



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაურიციო ტირა, ბრემიას უნივერსიტეტი, იტალია.

წევრები:

გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

თამთა ცხოვრებამე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

თინათინ დვალიშვილი, სამოქალაქო საზოგადოების STAR ინიციატივა, საქართველო.

შოთა ფოთოლაშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.

ლარისა პატარაია (დამსაქმებელი), სტარტ - ბიზნეს გადაწყვეტილებები, საქართველო.

თათია უბერი (სტუდენტი), შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი, 2024 წელი

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, შემდგომში ჯიპა, წარმოადგენს საქართველოს დამუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დაარსებულ ერთ - ერთ ყველაზე ინოვაციურ საგანმანათლებლო დაწესებულებას. 1994 წელს, ჯიპას დაარსება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემუშავებასთან, რომელიც ამოქმედდა საქართველოს მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს (რომელიც მოგვიანებით შეუერთდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განათლების და კულტურის საქმეთა ბიუროს) და ამერიკის შეერთებული შტატების საჯარო მმართველობის ეროვნული აკადემიის (NAPA) ერთობლივი ძალისხმევით. აღნიშნული ინიციატივის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში საჯარო მოხელეების ახალი თაობის მომზადება. მხარეებს შორის შეთანხმების თანახმად, საწყის ეტაპზე გამოიზრდი იყო ყოველწლიურად საჯარო მმართველობის 30 მაგისტრის მომზადება, ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნის პერიოდში საქართველოს საჯარო სექტორის გაძლიერების მიზნით.

თანამშრომლობა ჯიპასა და აშშ - ს საჯარო მმართველობის ეროვნულ აკადემიას შორის გაგრძელდა შვიდი წლის განმავლობაში. 2000 წელს, აშშ-ს საჯარო მმართველობის ეროვნული აკადემიის დახმარებით, ჯიპა გახდა საჯარო მმართველობის სკოლების ეროვნული ასოციაციის (NASPAA) წევრი, აღნიშნულმა აფილირებამ საფუძველი ჩაუყარა გრძელვადიან თანამშრომლობას და სამომავლო წარმატებას.

თავდაპირველად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი ძირითადად შედგებოდა წამყვანი ამერიკული უნივერსიტეტების პროფესორებისგან. აშშ-ს საჯარო მმართველობის ეროვნულ აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, აღნიშნული პროფესორები, საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამისთვის უზრუნველყოფდნენ აუცილებელ სახელმძღვანელოებს, ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად გადასცემდნენ ცოდნას და ატარებდნენ ყოვლისმომცველ ტრენინგებს და სემინარებს, ასევე მონაწილეობდნენ ჯიპას მართვაში. შესაბამისად, უნივერსიტეტმა დროთა განმავლობაში მოიზიდა პროფესიონალი ქართველი ლექტორები, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ დასავლური განათლება და ფლობდნენ თანამედროვე სწავლების მეთოდებს.

დაარსების დღიდან, ჯიპას მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოში საჯარო მმართველობის ახალი დარგის განვითარება ძლიერი საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით. თითქმის სამი ათწლეულის განმავლობაში, ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამების და ტრენინგ - ინიციატივების საშუალებით, უნივერსიტეტი ხელს უწყობდა ეფექტური მმართველობის განვითარებას ეროვნულ, მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, ჯიპამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეგიონულ დონეზე დამოუკიდებელი მედიის ჩამოყალიბებაში.

დღეისათვის, ჯიპა ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების ფართო სპექტრს, მათ შორის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს სხვადასხვა დისციპლინაში. გარდა აღნიშნული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა, ხუთ წელზე მეტია რაც უნივერსიტეტი ასევე ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და გეგმავს აღნიშნული მიმართულების გაფართოებას. აღსანიშნავია, რომ თითქმის ორი ათწლეულის განმავლობაში, ჯიპა წარმატებით ახორციელებს სასერთიფიკატო პროგრამების ფართო სპექტრს, რაც ასახავს ყოვლისმომცველი და უწყვეტი განათლებისადმი მის ვალდებულებას.

1990 - იან წლებში ერთი სამაგისტრო პროგრამით განათლების იმპორტიორად ჩამოყალიბებული ჯიპა გადაიქცა საქართველოში ახალი ცოდნის მნიშვნელოვან ექსპორტიორად. დღეისათვის დაწესებულების გავლენა დასტურდება მისი 5000 - მდე კურსდამთავრებულით, რომლებიც წარმატებით არიან დასაქმებულნი საჯარო და ბიზნეს სექტორში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში. დასაქმების სტატისტიკა კიდევ უფრო ხაზს უსვამს ჯიპას ეფექტურობას იმით რომ კურსდამთავრებულთა 89% დასაქმებულია და აღსანიშნავია რომ, 71% მუშაობს ჯიპაში მიღებული კვალიფიკაციის შესაბამის სფეროებში. უფრო მეტიც, ყოველი მეოთხე კურსდამთავრებული იკავებს მაღალ მმართველობით პოზიციას, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და დემონსტრირებს ჯიპას ეფექტურობას შრომის ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი შეფასების და აღნიშნული ხედვების საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინების მიმართულებით.

ამჟამად არსებული ორგანიზაციული სტრუქტურის თანახმად, ჯიპა შედგება ოთხი ძირითადი

საგანმანათლებლო ერთეულისგან (სკოლისგან) და დამატებითი სტრუქტურული ერთეულებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ სწავლებას:

- მმართველობის სკოლა;
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა;
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი;
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მოეთხოვებათ გამოიყენონ შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

2023 წლის ნოემბერში, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (ჯიპა) დაიწყო დაგეგმილი ავტორიზაციის პროცესისთვის მზადება. რექტორის 2023 წლის 14 ნოემბრის N01 - 23/327 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ყველა ძირითადი მმართველი ორგანოსგან, სტრუქტურული ერთეულისგან, აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისგან და უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისგან. აღნიშნული ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად უნივერსიტეტის ყოვლისმომცველი თვითშეფასების განხორციელება.

თვითშეფასების პროცესის საწყის ეტაპზე, სამუშაო ჯგუფმა საფუძვლიანად გადახედა 2018 წლის გეგმიური ავტორიზაციის და 2021 წლის სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდასთან დაკავშირებულ შეფასების პროცესში მიღებულ რჩევებს და რეკომენდაციებს. ამავდროულად, ავტორიზაციის პროცესის ეფექტურად დაგეგმვის და განხორციელების მიზნით, სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა დეტალური თვითშეფასების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაიწერა ძირითადი აქტივობების ჩამონათვალი (მათ შორის პასუხისმგებელი პირები / ჩართული სტრუქტურული ერთეულები და შესრულების ვადები), ყოველივე აღნიშნული განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებამდე ჯიპამ გაიარა შემდეგი ეტაპები:

- უსდ - ს მიერ განაცხადის წარდგენა (თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია);
- ავტორიზაციის მამიებლად ცნობა;
- ექსპერტთა ჯგუფის შექმნა.

2024 წლის 29 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ონლაინ რეჟიმში შეხვედა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, რათა განეხილა ავტორიზაციის პროცესის წესები. აღნიშნულის შემდგომ განხორციელდა

- საავტორიზაციო დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლა და დღის წესრიგის მომზადება.

2024 წლის 3 სექტემბერს ექსპერტებმა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს ონლაინ შეხვედრა, რომლის დროსაც განხორციელდა

- მოსაზრებების გაზიარება და ძირითადი კითხვების ჩამოყალიბება,
- ექსპერტებს შორის როლების და პასუხისმგებლობების განაწილება,
- ვიზიტის დროს გამოსათხოვი დამატებითი დოკუმენტაციის განსაზღვრა.

აღნიშნულის შემდეგ, ექსპერტებმა შეადგინეს სტანდარტების რუკა, რომელშიც სტანდარტების

მიხედვით ჩაიწერა პირველადი მიგნებები და ვიზიტზე დასასმელი სავარაუდო შეკითხვები.

შეფასების დაწყებიდანვე, ექსპერტთა ჯგუფმა იხილა პოზიტიური თანამშრომლობა ჯიპას წარმომადგენელი ყველა წევრისგან.

სამდლიანი ვიზიტის განმავლობაში ჯიპას შენობაში (ლადო ასათიანის ქუჩა, თბილისი, 2024 წლის 9 -11 სექტემბერი), ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრს.

- გასაუბრებები განხორციელდა რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;
- თვითშეფასების ჯგუფთან;
- უნივერსიტეტის აკადემიურ სამსახურთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან;
- ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრთან;
- კვლევითი დეპარტამენტთან;
- სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტთან;
- საფინანსო და შესყიდვების სამსახურის მენეჯერთან;
- სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების სამსახურთან;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურთან;
- სასწავლო სამსახურთან, "ფრონტლაინ ჯორჯიასთან", რადიო ჯიპას წარმომადგენლებთან;
- საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურთან;
- ლოგისტიკის და დაცვის სამსახურთან;
- დაცვის, შრომის უსაფრთხოების, მატერიალური და ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურებთან;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან,
- საქმისწარმოების სამსახურთან;
- იურისტთან;
- სწავლების სრულყოფილების ცენტრთან;
- დეკანებთან;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- მაგისტრანტების და დოქტორანტების ხელმძღვანელებთან;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა);
- სტუდენტებთან (დოქტორანტურა);
- საერთაშორისო სტუდენტებთან;
- კურსდამთავრებულებთან (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა);
- კურსდამთავრებულთ (დოქტორანტურა);
- დამსაქმებლებთან.

ბოლო დღეს (2024 წლის 11 სექტემბერს) ექსპერტთა ჯგუფმა მოინახულა რამდენიმე ობიექტი / ინფრასტრუქტურა (მარი ბროსეს ქ. N2 და რუსთავის გზატკეცილი N22ა), რომელიც წარმოადგენს გრძელვადიან სასწავლო და კვლევით შენობას და ჯიპას ახალ კორპუსს, ჯიპას მნიშვნელოვან სტრუქტურას სამომავლო განვითარების და დაგეგმილი გაზრდილი სტუდენტების რაოდენობის მისაღებად.

დასკვნის სახით, თვითშეფასების ანგარიში შემუშავებული იყო ანალიტიკურად, რამაც საშუალება მისცა ექსპერტებს განეხორციელებინათ გასაუბრებები და გაცნობოდნენ ჯიპას მთავარ მახასიათებლებსა და სტრატეგიულ ქმედებებს.

გასაუბრებები და ვიზიტი სრულყოფილად იყო ორგანიზებული ჯიპას პერსონალის მიერ და ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გადაემოწმებინათ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის რეალურობა და დაედასტურებინათ ჯიპას მთელი საზოგადოების ახალი სტრატეგიის განხორციელების სურვილი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ჯიპას სტანდარტებთან შესაბამისობა დეტალურად იქნება აღწერილი შემდგომ გვერდებზე. .

მხოლოდ რამდენიმე საკითხი არის აღნიშნული როგორც "მეტწილად" შესაბამისი მოთხოვნებთან.

წარმოდგენილია რამდენიმე რეკომენდაცია, რჩევები და რამდენიმე საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი.

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, უზრუნველყოთ, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს Turnitin - ის პროფილი სტუდენტების დავალებების შესამოწმებლად.
- რეკომენდებულია, დაიგეგმოს ღონისძიებები პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენების აუცილებლობის შესახებ აკადემიური პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად, იმისათვის, რომ პლაგიატის განსაზღვრისას არ ეყრდნობოდნენ პირად შეფასებას.
- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დატვირთვის შესრულების შეფასებისა და შესაბამისი რეაგირების ეფექტური მექანიზმები;
- სწავლა-სწავლების პროცესების მდგრადობის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების გავლენის გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია აკადემიური/ავილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
- რეკომენდებულია, მოეწყოს მინიმუმ ერთი დამატებითი სამკითხველო დარბაზი ბიბლიოთეკაში, რომელსაც ექნება ერთდროულად სულ მცირე 70-80 მკითხველის მიღების შესაძლებლობა;
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს სასწავლო მოდულები (ინფორმაციის მოძიება/საინფორმაციო წიგნიერება) და უზრუნველყოს მათი აქტიურად წახალისება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

რჩევები

- ექსპერტთა ჯგუფი არ გაცემს განსხვავებულ სამიზნე რეკომენდაციას 2023 წლისთვის სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, უბრალოდ აფრთხილებს უნივერსიტეტს ისეთი მიზნის სირთულის შესახებ, რომელიც უკავშირდება ახალი პერსონალის აყვანის საჭიროებას, რაც ამავედროულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიუჯეტზე.
- ფაკულტეტის დონეზე ჩამოყალიბდეს ხარისხის სპეციალისტების პოზიციები.
- სასურველია, სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცედურების გათვალისწინებით განახლდეს ეთიკის კოდექსი.
- უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ პერსონალის დაგეგმვის ობიექტური და მიზნობრივი ინდიკატორები, ყველა შესაბამისი პერსპექტივის გათვალისწინებით
- სასურველია აკადემიური პერსონალის დენადობის მიზეზების შემდგომი კვლევა და შენარჩუნების მექანიზმების გაძლიერება: ჩაატარეთ დამატებითი კვლევა აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლების შესახებ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები შენარჩუნების გასაუმჯობესებლად.
- სასურველია გააფართოვოთ ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები: სასურველია, გლობალური ჩართულობის და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გაფართოვდეს პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები.
- გაძლიერდეს პროფესიული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა: გააძლიერეთ მხარდაჭერა პროფესიული განვითარების ფართო სპექტრის აქტივობებისთვის.
- სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა უკეთ უპასუხოთ ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სპეციფიკურ საჭიროებებსა და მახასიათებლებს.
- სასურველია, რომ დოქტორანტებისთვის დეტალურად და ნათლად იყოს განმარტებული სამეცნიერო პუბლიკაციების თანაავტორობასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა და პირობა.
- სასურველია, კვლევის დეპარტამენტმა მოიწვიოს სტიპენდიანტები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, რათა მოაწყონ სემინარები ან საინფორმაციო სესიები, თუ როგორ უნდა მოიპოვონ და მართონ სადოქტორო გრანტები ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებიდან.
- სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელების მოწვევის პრაქტიკა, რათა გაამდიდროს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის აკადემიური გამოცდილება.
- სასურველია, ჯიპამ დაიწყოს კვლევითი საქმიანობის შეფასება თვისებრივი მიდგომით, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ახალი ინიციატივების შესაბამისად.

- სასურველია ჯიპამ აქტიურად შეუწყოს ხელი ერთობლივი სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო პროგრამების, ინსტიტუციური ხილვადობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
- სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას მხოლოდ ერთი კატალოგი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსები, რათა მკითხველებმა გამოიყენონ მხოლოდ ერთი საძიებო სისტემა რესურსების ხელმისაწვდომობის დასადგენად;
- სასურველია, ბიბლიოთეკის თანამშრომლები უფრო აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განვითარების აქტივობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული პირებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.
- სასურველია, მონაცემთა ბაზებზე დისტანციური წვდომისას მკითხველთა იდენტიფიკაცია განხორციელდეს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (არსებული პროცედურების ნაცვლად), რაც სტუდენტებისთვის გაადვილებს წვდომას;
- სასურველია, ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიას დაემატოს წლიური და ფინანსური ანგარიშები, ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და დასაქმების შესაძლებლობები.
- სასურველია, დამყარდეს უკეთესი კავშირი "გრენა" - ს მიერ მოწოდებულ სერვისებთან, რაც დაეხმარება ჯიპას მთლიანი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორს.
- სასურველია, შემუშავდეს უფრო დეტალური ბიუჯეტი.
- სასურველია, მომავალში კვლევის ხარჯები გაიზარდოს 3% დან 10 % - მდე.

საუკეთესო პრაქტიკები

- ჯიპას სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის სამსახურს უჭირავს ისეთივე ადგილი, რაც სკოლებს და დეპარტამენტებს.
- შრომის ბაზრის კვლევა და ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც კონკრეტული დისციპლინების და პროგრამების, ისე ზოგადად უმაღლესი განათლების თვალსაზრისით.
- გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, სადისკუსიო პლატფორმა სახელწოდებით "ფრონტლაინ ჯორჯია" და სტუდენტების მიერ მართული რადიო "რადიო ჯიპა", იმისათვის, რომ განვითარდეს სასწავლო გეგმის გარე აქტივობები, რომლებიც მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე და აუმჯობესებს მათ პროფესიულ უნარებს.
- სადოქტორო კვლევებისთვის განკუთვნილი შიდა საუნივერსიტეტო გრანტი, წელიწადში მაქსიმუმ 4,000 ლარის ოდენობით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. თავმჯდომარე: მაურიციო ტირა
2. წევრი: გიგა ხოსიტაშვილი
3. წევრი: თამთა ცხოვრებაძე
4. წევრი: თინათინ დვალიშვილი
5. წევრი: შოთა ფოთოლაშვილი

6. წვერი: ლარისა პატარაია

7. წვერი: თათია უბერი

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის
შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. 1. უსდ - ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ ან / და საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (ჯიპა) აქვს განსაკუთრებული სტატუსი, ვინაიდან ის არ წარმოადგენს არც სახელმწიფო და არც მოგებაზე ორიენტირებულ კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. აღნიშნული შესაძლოა იყოს ერთ - ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ შეესაბამება ის მაღალ დონეზე ქართული და ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და აქვს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ცოდნის შექმნაში და გავრცელებაში როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე. ჯიპას უნიკალურობა მდგომარეობს სამი ათწლეულის განმავლობაში საერთაშორისო პროგრამებთან ქართული საჭიროებების შერწყმაში, არა მხოლოდ უცხოური გამოცდილების გაზიარებით, არამედ რეგიონში არსებულ მდგომარეობასთან ადაპტირებით, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაინტერესებულ მხარეებს შორის დემოკრატიის გავრცელებაში.

"თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ჯიპა წარმოადგენს პირველ უნივერსიტეტს, რომელმაც სახელმწიფო მმართველობის და პოლიტიკის სფეროში შემოიტანა დასავლური სწავლების მეთოდები, სწორედ მაშინ, როდესაც საქართველო დგამდა პირველ ნაბიჯებს სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის გზაზე" (ციტატა სტრატეგიული გეგმიდან 2024-2030). ჯიპა განასახიერებს ევროპული უნივერსიტეტების სტრატეგიის მიზნებს, როგორც არის „უნივერსიტეტები, როგორც ევროპული ცხოვრების წესის შუქურები" და „უნივერსიტეტების გაძლიერება, როგორც ევროკავშირის გლობალური როლის და ლიდერობის ძალა".

ჯიპა - ს მნიშვნელოვანი წვლილი, რომელსაც ხშირად „მესამე მისიას" უწოდებენ, ფართოდ არის გაზიარებული უსდ - ს საზოგადოების ყველა რგოლში, დაწყებული რექტორით, პროფესორებით, სტუდენტებით და კურსდამთავრებულებით დამთავრებული. გასაუბრებელია ნათლად იკვეთება ჯიპა - ს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. დემოკრატიის, თავისუფლების და კეთილდღეობის იდეალების გაძლიერება აღქმულია როგორც მისია და რეალური საზრუნავი ყველა დონეზე, რაც იშვიათია ამგვარი შეფასებების დროს.

ჯიპა ითვალისწინებს უნივერსიტეტების სამივე მისიას და 2024 - 2030 წლების სტრატეგიის ცენტრში განსაზღვრავს ხუთ მკაფიო მიზანს.

ინტერნაციონალიზაცია, როგორც უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, ვინაიდან საქართველო 2005 წლიდან ბოლონის პროცესის / ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის სრულუფლებიანი წევრია. ჯიპა ევროპის უმაღლესი განათლების (EHEA) და ევროპის კვლევითი სივრცის (ERA) განიხილავს როგორც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს განავითაროს ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა.

საგანმანათლებლო საქმიანობა, როგორც უმთავრესი პრიორიტეტი. ჯიპას მიზანია „შეინარჩუნოს და გააძლიეროს წამყვანი პოზიციები სოციალური მეცნიერებების ტრადიციულ სფეროებში, განსაკუთრებით მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით" (ციტატა 2024 - 2030 სტრატეგიული გეგმიდან), ამასთან ერთად გაამარავლფეროვნოს და გაზარდოს შეთავაზებული საგნების რაოდენობა.

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა წარმოადგენს კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს, თუმცა ის აღიქმება როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, როგორც ჯიპასთვის, ისე მთელი ქვეყნისთვის. სუსტ მხარეებს შორის აღნიშნულია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების და კვლევების შეზღუდული რაოდენობა.

მიუხედავად დღემდე არსებული შეზღუდული ფინანსური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობებისა, ჯიპა ორიენტირებულია ინსტიტუციურ განვითარებაზე. შესაბამისად, ახლახან რეაბილიტირებული ახალი შენობა ჯიპასთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი აქტივი.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წლიდან, მას შემდეგ რაც ჯიპამ დაიწყო პირველი პროფესიული პროგრამის განხორციელება შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად პროფესიული განათლება წარმოადგენს მის განსაკუთრებულ პრიორიტეტს.

დასკვნის სახით, გასაუბრებებიდან მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ ჯიპას მისია გაზიარებულია მისი მთელი საზოგადოების მიერ, რომელიც ავლენს ჩართულობის მაღალ დონეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2030
- ბოლონის პროცესი
- თვითშეფასების ანგარიში
- სტრატეგიული გეგმა
- ჯიპას შრომის ბაზრის კვლევა და ფოკუს ჯგუფები
- გასაუბრებები
- ჯიპას ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ - ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ - ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯიპას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, რომელიც რეალისტური და მიღწევადია. ჯიპა მიზნად ისახავს მომავალში შეინარჩუნოს თავისი შედარებითი უპირატესობა უმაღლესი განათლების სისტემაში საკუთარი პოზიციების გაძლიერებით რეგიონულ დონეზე. ჯიპა ორიენტირებულია ინტერნაციონალიზაციაზე, რაც გამოიხატება უნივერსიტეტში ჩატარებული მრავალრიცხოვანი აქტივობებით, სხვადასხვა პროექტების ინიცირებით და თავისუფალი სტუდენტების რაოდენობის გაზრდით.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება განიხილება, "როგორც კვლევითი საქმიანობისთვის დამატებითი რესურსების მოზიდვის, ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის შემდგომი დივერსიფიკაციის და გაღრმავების" ახალი შესაძლებლობა (ციტატა 2024 - 2030 სტრატეგიული გეგმიდან).

კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო ბაზაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობს ონლაინ განათლების სრულად ან ნაწილობრივ დანერგვას სტუდენტების ახალი სეგმენტის მოსაზიდად, აბიტურიენტების რაოდენობის მოსალოდნელი ზრდის ფარგლებში.

სტუდენტების რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული უნივერსიტეტის ახალი შენობის მიერ შეთავაზებულ შესაძლებლობებთან, რაც წარმოადგენს მომავალი წლების ერთ - ერთ მთავარ მოქმედებას (რომელიც თითქმის დასრულებულია). მოსაზიდ სტუდენტებს შორის, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხარისხის თვალსაზრისით ქვეყნის მიმზიდველობის ინდიკატორს. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა.

ჯიპას თვითშეფასების ანგარიშში ძლიერ მხარედ აღნიშნულია სტრატეგიული (2024 - 2030) და სამოქმედო გეგმების (2024 - 2026) უწყვეტობა და შესაბამისობა უნივერსიტეტის 2018 - 2024 წლების განვითარების გეგმებთან.

უნივერსიტეტის განვითარების მიზნით შემუშავებულია სტრატეგიული (2024 - 2030) და სამოქმედო გეგმების (2024 - 2026) მკაფიო და დეტალური ფორმა და სტრატეგიული (2024 - 2030) და სამოქმედო გეგმების (2024 - 2026) განვითარების პროცესში უზრუნველყოფილია საუნივერსიტეტო საზოგადოების ფართო წარმომადგენლობა და მონაწილეობა.

ჯიპას მიზნები ეფუძნება მის მისიას და საქმიანობის პრიორიტეტებს. ისინი მიღწევადი, დროში გაწერილი და გაზომვადია და გაზიარებულია საზოგადოების მიერ.

სტრატეგიული განვითარების გეგმაში აღნიშნული მიზნები და აქტივობები მიღწევადია ბიუჯეტის გაზრდის შესაბამისად, კერძოდ, აქტივობების და სწავლის საფასურის გაზრდის საფუძველზე.

რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, უნდა აღინიშნოს აქტივობებში გარკვეული განსხვავებები, რომლებიც უკავშირდება ძირითად შესრულების ინდიკატორებს: ზოგიერთი ქმედება უკავშირდება მკაფიო ინდიკატორს + სამიზნე ნიშნულს, ხოლო ზოგიერთ ინდიკატორს შეიძლება რომ ჰქონდეს, მაგრამ არ გააჩნია სამიზნე ნიშნული.

ზოგიერთი სამიზნე ნიშნული შეიძლება იყოს უფრო ამბიციური (მაგალითად: ძირითადი შესრულების ინდიკატორი 2.3.5.1.1), ხოლო ზოგიერთი შეიძლება განისაზღვროს (მაგალითად: ძირითადი შესრულების ინდიკატორი 3.4.2.2.2).

რამდენიმე სამიზნე ნიშნული საკმაოდ ამბიციურია, განსაკუთრებით ახალ ინფრასტრუქტურულ ობიექტებთან დაკავშირებით:

- 4.4.1.1, 2030 წლისთვის სტუდენტთა რაოდენობა = 4,500

4.4.1.3, 2030 წლისთვის პროფესიული სტუდენტების რაოდენობა = 500

-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები
- სტრატეგიული გეგმა
- სამოქმედო გეგმა
- ძირითადი შესრულების ინდიკატორები

რეკომენდაციები:
რჩევები: • ექსპერტთა ჯგუფი არ გასცემს განსხვავებულ სამიზნე რეკომენდაციას, უბრალოდ აფრთხილებს უნივერსიტეტს ისეთი მიზნის სირთულის შესახებ, რომელიც უკავშირდება ახალი პერსონალის აყვანის საჭიროებას, რაც ამავდროულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიუჯეტზე.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ - ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ - ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ - ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: კომპლექსურ ორგანოებში ორგანიზაციული სტრუქტურა შეიძლება სხვადასხვა სახით იყოს ჩამოყალიბებული. ნებისმიერ შემთხვევაში, ზოგიერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ნათლად უნდა იყოს წარმოდგენილი. ჯიპას ორგანიზაციული სტრუქტურა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. მაგალითად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოიწველია ადმინისტრაციის ხელმძღვანელისგან. კარგი გადაწყვეტილებაა, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის რექტორის კომპეტენციის ქვეშ დატოვება, ვინაიდან 2024 - 2030 წლების სტრატეგიაში ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს სტრატეგიულ მიზანს. ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად უზრუნველყოფს სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნების და აქტივობების განხორციელებას. აღსანიშნავია ჯიპას საზოგადოების ყველა წევრის ერთუზიანში, მათ შორის რექტორის, პროფესორების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ყველა გამოკითხული პერსონალის. საკმაოდ მაღალია ჯიპას მისიის შესახებ ცნობიერების დონე. ჯიპას მმართველი ორგანოების არჩევის / დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას. ჯიპას ხელმძღვანელობა / მმართველი ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას და გამოირჩევიან ჯიპას მისიასა და ხედვაში აქტიური მონაწილეობით. ჯიპას მისიის და მიზნების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მხარს უჭერს საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს, როგორც სტრატეგიული განვითარების ძირითად მიზანს. ინტერნაციონალიზაცია არ არის მხოლოდ აქტივობა, არამედ დამოკიდებულება, რომელიც საფუძვლად უდევს ყველა აქტივობას, კვლევიდან დაწყებული სწავლებით და მესამე მისიით დასრულებული. თვითშეფასების თანახმად, უნივერსიტეტის საქმისწარმოება (შინაარსის გათვალისწინებით) ხორციელდება ელექტრონულად, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით (eDocument). დამატებით, სტუდენტების ცნობების და სერტიფიკატების მომზადება და გაცემა ხორციელდება უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის მეშვეობით. უნივერსიტეტმა გასწია მნიშვნელოვანი ძალისხმევა გარკვეული მართვის პროცესების გაციფრულებისთვის (იხილეთ portal.gipa.ge). საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად, ჯიპამ ჩამოაყალიბა შრომის უსაფრთხოების სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული სამსახურის მიზანს წარმოადგენს უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების ძირითადი მოთხოვნების და პრინციპების განსაზღვრა. აღნიშნული მოიცავს არსებული და პოტენციური საფრთხეების გამოვლენას, და დაკავშირებული რისკების ეფექტური მართვისთვის საჭირო კონტროლის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: - შიდა წესდება და დებულება - ორგანიზაციული სტრუქტურა - თვითშეფასების ანგარიში. - გასაუბრებები - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ჯიპას სტრუქტურაში ინტერნაციონალიზაციის სამსახურს უჭირავს ისეთივე ადგილი, რაც სკოლებს და დეპარტამენტებს.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფას განიხილავს როგორც უწყვეტ და ყოვლისმომცველ პროცესს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ჯიპაში ჩამოაყალიბებულია ხარისხზე ორიენტირებული კულტურა, რომელიც ხაზს უსვამს სწავლების ეფექტურობის, კვლევის და უნივერსიტეტის საერთო საქმიანობის პერიოდულ შეფასებას. ხორციელდება აღნიშნული შეფასებების შედეგების ანალიზი, ასევე შედეგები გამოიყენება ინსტიტუციური განვითარების შემდგომი ხელშეწყობისთვის. როგორც აღინიშნა, უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევითი საქმიანობის და სერვისების რეგულარული მონიტორინგის და შეფასების გზით უზრუნველყოს ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება. ჯიპა მიიჩნევს, რომ ხარისხის უზრუნველყოფა გაზიარებული უნდა იყოს მთლიანი საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ეკისრება ცენტრალური როლი. თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის თანახმად, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უნივერსიტეტის ყველა წევრს - სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალს - ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის დამსაქმებლებს, დარგის ექსპერტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებს და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები ასევე ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და შემდგომ განვითარებას. ჯიპას ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება "PDCA" ციკლს (დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე). ხარისხის უზრუნველყოფის "PDCA" ციკლის თითოეული ფაზა დეტალურად არის ახსნილი თვითშეფასების ანგარიშში, ასევე წარმოდგენილია ინფორმაცია თუ როგორ გამოიყენება შეფასების შედეგები დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, სტრუქტურულ ერთეულებთან და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან განხორციელებული გასაუბრებების შედეგად გამოვლინდა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი არის მონაწილეობითი. მართვასთან მიმართებით, რექტორმა ისაუბრა რამდენიმე გადაწყვეტილებაზე, რომელიც მიღებული იქნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე, მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწყობასთან და პროგრამების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმოადგინა მაგალითები მისი პასუხისმგებლობის ფარგლებში ხარისხის კულტურის ხელშეწყობის კუთხით შეტანილი წვლილის შესახებ. გარდა ამისა, აკადემიურმა საბჭომ დააკონკრეტა ინფორმაციის სახეები, რომლებიც მოითხოვება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განიხილება დაწესებულების ხარისხის კულტურაში შესატანი წვლილის მექანიზმები. ფინანსურმა სამსახურმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიიღეს ინფორმაცია სტუდენტების წახალისების შესახებ, რომელიც გამოვლინდა კითხვარების მეშვეობით და მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროებისამებრ განიხილება აღნიშნული საკითხების ფინანსური უზრუნველყოფა. სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელმა და რადიო ჯიპას მენეჯერმა ხაზი გაუსვეს, თუ როგორ მონაწილეობენ დაწესებულების ხარისხის კულტურის განვითარებაში. სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა კარგად განმარტა, თუ როგორ იღებს ცენტრი უკუკავშირის / ანალიზს სტუდენტებისგან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით და ისაუბრა სტუდენტების საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით ცენტრის მიერ ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მაგალითად, სტუდენტების რეკომენდაციების საფუძველზე, გაკეთდა დასაქმების შეთავაზებების ჩამონათვალი მათი პროფესიული გამოცდილების მიხედვით და გაეგზავნა სტუდენტებს. რადიო ჯიპას ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა, რადიოს, როგორც პრაქტიკის ბაზის ჩართულობას ხარისხის უზრუნველყოფაში, ვინაიდან მონაწილეობს სტუდენტების ან სტაჟიორების შეფასებებში.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები და პასუხისმგებლობები ჩამოყალიბებულია უნივერსიტეტის წესდებაში (თავი V, მუხლი 2). გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებს გააჩნიათ ცოდნა და გააზრებული აქვთ უნივერსიტეტში თავიანთი როლი და ფუნქციები. როგორც აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა შეასრულეს ცენტრალური როლი თვითშეფასების პროცესში, უხელმძღვანელეს პროცესს და უზრუნველყვეს საფუძვლიანი ჩართულობა.

უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები წარმოდგენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, მათ შორის VIII თავში - სასწავლო პროცესის მონიტორინგის, ხარისხის შეფასების, შედეგების ანალიზის და გამოყენების წესში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილი მექანიზმები მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მნიშვნელოვან ასპექტს (სწავლება, კვლევა, საერთო ეფექტურობა), რომელიც აერთიანებს როგორც შიდა, ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფას. სწავლების და კვლევის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია:

- სტუდენტის მიერ განხორციელებული სასწავლო კურსის, ლექტორის, ასევე თვითშეფასების ანონიმური შეფასება,
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანგარიშების ანალიზი,
- გაუსის განაწილების გამოყენებით სტუდენტების აკადემიური მიღწევების მონიტორინგი და შეფასება,
- მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ანონიმური შეფასება,
- ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებით სტუდენტის პროგრესის შეფასება,
- სადოქტორო ნაშრომის შესრულების პროცესში ხელმძღვანელის შეფასება (პროცესის მიმდინარეობისა და სადოქტორო ნაშრომის დასრულების შემდეგ),
- ხელმძღვანელის მიერ დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესის შეფასება,
- აკადემიური პერსონალის აკადემიური პროდუქტიულობის ყოველწლიური შეფასება,
- ადგილობრივი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი - ქართულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლა და ანალიზი,
- სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი და სტატისტიკა,
- საგანმანათლებლო პროგრამების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება,
- დამსაქმებლებთან ფოკუს ჯგუფების ჩატარება.

უნივერსიტეტის საერთო ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულია ეყრდნობა შემდეგ შეფასებებს:

- მატერიალურ - ტექნიკური რესურსების და საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება,
- სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრის საქმიანობის შეფასება,
- ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის შეფასება,
- ორგანიზაციული გარემოთი კმაყოფილების შეფასება,
- სტუდენტების მიერ უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შეფასება,
- სტუდენტების მიერ საერთაშორისო მოზილობის გაცვლითი პროგრამებით კმაყოფილების შეფასება,
- სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგი.

ჯიპას დოკუმენტაციის თანახმად, დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარები და შესაბამისი ანალიზის დოკუმენტები, რომელიც მოიცავს ყველა ფაკულტეტს. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ორი მექანიზმი - ხელმძღვანელის მიერ სამაგისტრო ნაშრომზე სტუდენტის მუშაობის პროგრესის შეფასება და ხელმძღვანელის მიერ სადოქტორო ნაშრომზე დოქტორანტის მუშაობის პროცესის შეფასება - ვინაიდან აღნიშნული დანერგილია 2024 წლიდან და ანალიზის დოკუმენტები შემუშავდება მოგვიანებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ ანალიზის დოკუმენტები გაეგზავნა შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განხორციელდა შემდგომი ქმედებები სწავლების, კვლევის თუ აკადემიური მოსწრების ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასებების შედეგები ეფექტურად იქნა გამოყენებული ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მენეჯერის მიერ პერსონალის შემდგომი მოტივაციის, წახალისების თუ მხარდაჭერის აქტივობების დასაგეგმად. ასევე, დეკანებმა ისაუბრეს იმის შესახებ, თუ როგორ იღებენ შეფასებების ანალიზს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან და რამდენად ეფექტურად იყენებენ მათ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში. პროგრამების ხელმძღვანელებმა განმარტეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს ფოკუსს ჯგუფებს და კითხვარებს და მიღებულ შედეგებს უზიარებს პროგრამების ხელმძღვანელებს. შეფასებების შედეგების საფუძველზე, ხელმძღვანელები ახორციელებენ შესაბამის ქმედებებს შეფასებების შედეგად გამოვლენილ გამოწვევებთან და საჭიროებებთან გასამკლავებლად. ხელმძღვანელებმა ისაუბრეს კონკრეტულ შემთხვევებზე, რომლებიც ეხებოდა სილაბუსში ან ლექტორის მიდგომაში, ან კურსის პრაქტიკულ ნაწილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული შეფასებების შედეგების საფუძველზე განხორციელებულ ცვლილებებს. აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ინტერაქტიულ შედეგებთან ერთად, პორტალის მეშვეობით იღებენ სტუდენტების შეფასების შედეგებს და სტუდენტების კომენტარებს ითვალისწინებენ სასწავლო კურსის გასაუმჯობესებლად. აკადემიური პერსონალის ნაწილმა აღნიშნა, რომ სტუდენტების უკუკავშირის საფუძველზე შეცვალეს საკითხავი მასალები, სწავლების და შეფასების მეთოდები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან გასაუბრების დროს, პერსონალმა დეტალურად განმარტა მათი სამუშაო დღის წესრიგი. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა განაცხადეს, სამსახური ამჟამად შედგება 1 უფროსის, 1 მენეჯერის და 2 სპეციალისტისგან (და 1 სპეციალისტი დასაქმდება მოგვიანებით). მიუხედავად იმისა, რომ მონაცემების შესაგროვებლად უნივერსიტეტმა გააფორმა შეფასების პროცესი (portal.gipa.ge), ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო დატვირთვა საკმაოდ მაღალი ჩანს. სასურველია, ფაკულტეტებზე შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის პოზიცია, იმისათვის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის უმეტესი ნაწილი განხორციელდეს ადგილობრივად. გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებს ძირითადად აგვარებენ ფაკულტეტების კოორდინატორები. თუმცა, მნიშვნელოვანია აღნიშნულ პროცესში ფაკულტეტებზე განისაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები, ვინაიდან კოორდინატორებს აქვთ სხვა მოვალეობებიც, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მათ მიერ ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების სრულყოფილად გადაწყვეტას. აღნიშნული ასევე პირდაპირ კავშირშია უნივერსიტეტის სტუდენტების რაოდენობის გაზრდის მიზანთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან განხორციელებული გასაუბრების დროს, პერსონალმა აღნიშნა, რომ ჯიპა აფასებს მის მიერ გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობას. აღნიშნულის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის ფარგლებში გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები ექვემდებარება პერიოდულ გადახედვას და განვითარებას. მათ მოიცავს როგორც კითხვარების მოდიფიცირების, ისე ახალი ინსტრუმენტების დამატების მაგალითები.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ისინი მონაწილეობენ სავალდებულო კითხვარების შევსებაში და ანონიმური კითხვარის შევსება შესაძლებელია ნებისმიერ დროს portal.gipa.ge-ს მეშვეობით, ხოლო სხვა სტანდარტიზებული შეფასებები შესაძლებელია განხორციელდეს კურსის დასრულებამდე.

საერთაშორისო სტუდენტებთან გასაუბრების დროს, მათ ასევე დაადასტურეს კითხვარების შევსება ჯიპას პორტალის მეშვეობით.

კურსდამთავრებულებთან გასაუბრების დროს, მათ ხაზი გაუსვეს თავიანთ აქტიურ როლს უკუკავშირის და შეფასებების მიწოდებაში. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა ბიბლიოთეკასთან, სასწავლო კურსთან, საუნივერსიტეტო სივრცესთან და პორტალთან დაკავშირებული რეკომენდაციები, რომლებიც რეაგირებისთვის გაეგზავნა უნივერსიტეტს. ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ ელ - ფოსტის და ზარების მეშვეობით უნივერსიტეტიდან

იღებენ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ.

დამსაქმებლებთან გასაუბრების დროს, მათაც დაადასტურეს ჯიპასთან მჭიდრო პარტნიორობა და ორმხრივი სამუშაო პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხაზი გაუსვა, რომ ისინი აფასებენ მათ მიერ გამოყენებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და ინსტრუმენტების ეფექტურობას. რაც შეეხება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების ვადებს (რომელი კვლევები და კითხვარები იქნება გამოყენებული და როდის), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველი აკადემიური სემესტრის დასაწყისში ამზადებს შესაბამის სიას.

როგორც ხარისხის კულტურის ნაწილი, უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასების მიზნით იყენებს დარგის ექსპერტების გარე შეფასებებს. უნივერსიტეტი გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს იყენებს შიდა პრაქტიკის შემდგომი განვითარებისთვის (ჯიპას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შეფასებები, რომელიც ხორციელდება სხვა ქართული უსდ - ს გარე ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის ან ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გარე ექსპერტების მიერ). შეფასების შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილია ავტორიზაციის განაცხადის პაკეტში.

უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგია. დაგეგმვის პროცესი მოითხოვს სკოლის დეკანების, პროგრამების ხელმძღვანელების, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას (საჭიროების შემთხვევაში). დაგეგმვის მეთოდოლოგია მოიცავს ორ ეტაპს: დაგეგმვას და განხორციელებას. დაგეგმვის ფაზაში, სკოლის დეკანები პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად სტუდენტების დაგეგმილი რაოდენობის შესახებ ინფორმაციას აწვდიან ადმინისტრაციის უფროსს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. განხორციელების ეტაპზე, რექტორატი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალი წლის სტუდენტთა რაოდენობის შესახებ. შემოწმების ეტაპზე რექტორატი სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად აანალიზებს სტუდენტთა მიღების შედეგებს. განვითარების ფაზაში სტუდენტების რაოდენობის ეფექტური მართვის მიზნით მუშავდება რეკომენდაციების ნაკრები. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასთან ერთად, უნივერსიტეტი გეგმავს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდას და პარალელურ რეჟიმში მატერიალურ - ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებას. ასევე ნათელია მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული კოეფიციენტებიც.

გასაუბრებების დროს სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის პროცესი აღწერილი იყო მეთოდოლოგიის შესაბამისად. მეთოდოლოგიურ დონეზე, ასევე ნათელია მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებული კოეფიციენტები. თუმცა, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით არ არის სრულად გაზიარებული. თვალსაჩინოა არსებულ ციფრებსა და სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის სამიზნე ნიშნულებს შორის კავშირი. თუმცა, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის (400/2200 - დან 485/4500 - მდე), ასევე ადმინისტრაციული (103/2200 - დან 115/4500 - მდე) და აფილირებული აკადემიური პერსონალის (147/2200 - დან 171/4500 - მდე) გაზრდის შესახებ უნივერსიტეტის მიმდინარე გეგმები არ გაჟღერებულა გასაუბრების დროს და არც დოკუმენტაციაში ან თვითშეფასების ანგარიშის შესაბამის ნაწილში იყო წარმოდგენილი. მიზანშეწონილი იქნებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო კონკრეტული გეგმები ან მექანიზმები, რომელთა გამოყენებასაც გეგმავს უნივერსიტეტი მზარდი სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად მეტი ადამიანური რესურსის (ან სხვა ტიპის რესურსების) მოსაზიდად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების შედეგები: ფაილები

რეკომენდაციები:

რჩევები:

ფაკულტეტის დონეზე ჩამოყალიბდეს ხარისხის სპეციალისტების პოზიციები.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა ○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს გააჩნია ეთიკის და ქცევის კოდექსი, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ პერსონალზე და სტუდენტებზე. ეთიკისა და ქცევის სავალდებულო წესები გაწერილია წესში. ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში აკადემიური / მოწვეული, ადმინისტრაციული / დამხმარე პერსონალის და სტუდენტებისთვის განსაზღვრულია დისციპლინური სანქციების სახეები. დისციპლინური ზომების პროცედურები მოიცავს დისციპლინური კომისიის შექმნას. დისციპლინური კომისიის შემადგენლობა მოიცავს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სკოლის დეკანს, აკადემიურ / მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებს და უნივერსიტეტის სხვა წარმომადგენლებს ან მოწვეულ ექსპერტებს (საჭიროების შემთხვევაში). ადმინისტრაციული / დამხმარე, აკადემიური / მოწვეული პერსონალის შემთხვევაში სანქციები ითალისწინებს შენიშვნას, საყვედურს, ანაზღაურების თანხის 20% - მდე დაკავებას ან ხელშეკრულების შეწყვეტას. სტუდენტების შემთხვევაში, სანქციები ითვალისწინებს შენიშვნას, საყვედურს ან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას. გასაუბრებისა და წესებულების იურისტმა განაცხადა, რომ წინა ავტორიზაციის შემდეგ ჯიპაში ადგილი ჰქონდა დისციპლინური ზომების დარღვევას და კომისიის გადაწყვეტილებები ეფუძნებოდა მტკიცებულებებს, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით (ეთიკისა და ქცევის კოდექსის V თავი - კვლევის ეთიკა და აკადემიური კეთილსინდისიერება). გასაუბრებების დროს, უნივერსიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ხელმძღვანელებისთვის ჩატარდა ტრენინგი ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ, რომელსაც დაესწრო 25 მონაწილე. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან გასაუბრებების დროს, მათ დაადასტურეს ეთიკის და ქცევის კოდექსის არსებობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის ფლობა. ასევე შემუშავებულია პლაგიატის თავიდან აცილების ინსტრუქცია. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინდა, რომ აღნიშნული კოდექსი არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სტანდარტულ მოთხოვნას წარმოადგენს პლაგიატის აღმოჩენის და პრევენციის მექანიზმების არსებობა. ჯიპაში დანერგილია აღნიშნული მექანიზმი - "Turnitin" და წარმოდგენილია პროგრამის შესყიდვის ბრძანება. გასაუბრებების დროს, აკადემიური პერსონალის ნაწილმა ხაზი გაუსვა, რომ მათ მიერ "Turnitin" - ის გამოყენება ხორციელდება მხოლოდ დასკვნითი და შუალედური შეფასებებისთვის. აკადემიურმა პერსონალმა განაცხადა, რომ პროგრამა სრულად გამოიყენება სადოქტორო სწავლების საფეხურზე. პერსონალის ნაწილმა აღნიშნა, რომ ისინი იყენებენ "Turnitin" - ს და პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართავენ დეკანს. აკადემიური პერსონალის ნაწილმა აღნიშნა, რომ სტუდენტები ეფექტურად იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს, რაც მიუთითებს არაეთიკურ ქცევაზე ვიდრე პლაგიატზე. მათი აზრით, უნდა განახლდეს პლაგიატის წესის დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ხელოვნური ინტელექტის პრევენციის და აღმოჩენის ზომები. გასაუბრების დროს მოწვეულმა პერსონალმა განაცხადა, რომ ფლობდნენ ინფორმაციას პროგრამის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ თავად არ გამოიყენებიათ, არ ჰქონდათ წვდომა და არ შეუქმნიათ საკუთარი პროფილები აღნიშნულ პროგრამაში. გასაკვირია, რომ ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ არ სჭირდებოდათ აღნიშნული პროგრამა. დამატებით, გამოვლინდა, რომ სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ატვირთვა და პლაგიატზე შემოწმება ხორციელდება ადმინისტრაციის (დასახელებულ იქნენ კოორდინატორები) და არა თავად აკადემიური პერსონალის (ხელმძღვანელების) მიერ. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი იცავს აკადემიური თავისუფლების წესს. გასაუბრებების

დროს, პროგრამების ხელმძღვანელებმა / აკადემიურმა პერსონალმა ისაუბრეს ყოველდღიურ საქმიანობაში მათი აკადემიური თავისუფლების შესახებ, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალი არ ერევა მათ ყოველდღიურ აკადემიურ საქმიანობაში, სილაბუსის შინაარსში, სწავლების მეთოდოლოგიაში, საკვლევ თემებში და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • თვითშეფასების ანგარიში • ეთიკისა და ქცევის კოდექსი
რეკომენდაციები: ○ რეკომენდებულია, უზრუნველყოთ, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს Turnitin - ის პროფილი სტუდენტების დავალებების შესამოწმებლად. ○ რეკომენდებულია, დაიგეგმოს ღონისძიებები პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენების აუცილებლობის შესახებ აკადემიური პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად, იმისათვის, რომ პლაგიატის განსაზღვრისას არ ეყრდნობოდნენ პირად შეფასებას.
რჩევები: ○ სასურველია, სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცედურების გათვალისწინებით განახლდეს ეთიკის კოდექსი.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯიპას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების პროცედურები. აღნიშნული პროცედურების თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ხორციელდება შესაბამისი სკოლის აკადემიური და მოწვეული და უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის მიერ. მეთოდოლოგიის თანახმად, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად, პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც (დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და ა.შ.). პროგრამის დაგეგმვის, შეცვლის, განვითარების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას დაწესებულება ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირს, კმაყოფილების კვლევების შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების შედეგებს, ადგილობრივ და საერთაშორისო ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზს. ვიზიტის მიგნებებმა, წარმოდგენილმა დოკუმენტებმა და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგებმა გამოავლინა, რომ პროგრამის განვითარება არის მუდმივი და მონაწილეობითი პროცესი. თვითშეფასების ანგარიშში და დებულებაში გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების, შეფასების და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ანონიმურ გამოკითხვას და გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, პროგრამების განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს. უკუკავშირის სქემები საკმარისია და კარგად არის შემუშავებული, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს პერიოდულ ანგარიშგებას და კვლევის შედეგების გათვალისწინების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, რაც დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული გასაუბრებების შედეგად.

პროგრამის ინიცირება შეუძლია ჯიპას პერსონალის წევრს, პარტნიორ ორგანიზაციას ან ინდივიდუალურ პირს. ინიციატივა ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საუკეთესო არსებული პრაქტიკების, შრომის ბაზრის მოთხოვნების და ტენდენციების, პოტენციური ადამიანური რესურსების, წინასწარი ბიუჯეტის და სხვა შესაბამისი დოკუმენტების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დამტკიცების შემდეგ, შესაბამისი სკოლის აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის განხორციელების პოტენციალს და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში გადასცემს მას უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მოქმედი პროგრამის შეცვლის და განვითარების საჭიროება განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციებით, პროგრამის შეფასების შედეგების და ანალიზის საფუძველზე. რეკომენდაციები წარედგინება პროგრამის ხელმძღვანელს / სკოლის დეკანს, რომელიც ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის საკითხს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს შრომის ბაზრის ანალიზს და მიღებული კვლევის შედეგები გათვალისწინებულია პროგრამის გუნდის მიერ პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის. აღსანიშნავია დამსაქმებლების მოტივაცია, ვალდებულება და პროგრამებში ჩართულობა, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას მუდმივად ცვალებად ტენდენციებთან და სტანდარტებთან. პროგრამები ასევე სარგებლობენ სტუდენტებისთვის პრაქტიკული გამოცდილების მიღების და საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული სხვადასხვა სტაჟირების შესაძლებლობებით.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების პროცედურები განმარტავს, რომ დაწესებულება სათანადო ყურადღებას უთმობს სტუდენტების კანონიერ ინტერესებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აძლევს მათ შესაძლებლობას შეუფერხებლად დაასრულონ ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც თავდაპირველად იყვნენ ჩარიცხულნი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ჯიპას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (თავი III - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, შეცვლის და გაუქმების წესი და პროცედურები) • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო • შრომის ბაზრის და დამსაქმებლების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის ანალიზი • ადგილობრივი და საერთაშორისო ანალოგიური პროგრამების ანალიზი • პროგრამასთან დაკავშირებით სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების ანალიზი • სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები • თვითშეფასების ანგარიში • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • შრომის ბაზრის კვლევა და ფოკუს ჯგუფები, რომლებიც ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან, როგორც კონკრეტული დისციპლინების და პროგრამების, ისე ზოგადად უმაღლესი განათლების თვალსაზრისით.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) პრინციპებით. "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი" არეგულირებს კრედიტების გაანგარიშებასთან, პროგრამის შინაარსის შემუშავების მოთხოვნებთან დაკავშირებულ ყველა პრაქტიკულ ასპექტს, მოიცავს ინფორმაციას სწავლება - სწავლის მეთოდების შესახებ და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განსაზღვრის მეთოდოლოგიას. ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის 24 საგანმანათლებლო პროგრამა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავდა 180 კრედიტის მოცულობის 2 ახალი საბაკალავრო პროგრამა, თუმცა დანარჩენი პროგრამები მოიცავენ 240 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამები შედგება 120 კრედიტისგან, ხოლო სადოქტორო პროგრამები ითვალისწინებენ არაუმეტეს 60 კრედიტის მოცულობის სასწავლო კომპონენტს. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. სწავლის შედეგები ეფუძნება დარგის თავისებურებებს და შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ლოგიკურად არის დაკავშირებული და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტები, სწავლება - სწავლის მეთოდები ასახავს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. "სამართლის" რეგულირებადი საბაკალავრო პროგრამა და "საერთაშორისო სამართლის" სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დარგობრივ მახასიათებელს, შესაბამისად, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, სწავლება - სწავლის, ასევე შეფასების მეთოდები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს. თვითშეფასების ანგარიშის და საგანმანათლებლო პროგრამის დოკუმენტების თანახმად, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს ყველა შემადგენელი კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის მიერ გონივრულ ვადაში სწავლის შედეგების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახური ასევე ითვალისწინებს განსაზღვრულ ვადაში პროგრამის დასრულების მაჩვენებელს. პროგრამები დაბალანსებულია სავალდებულო და არასავალდებულო კომპონენტებით, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მოარგონ სასწავლო გეგმა მათ კონკრეტულ ინტერესებს და მოთხოვნებს. არჩევითი კომპონენტების შესაძლებლობა დადასტურებულია თვითშეფასების ანგარიშით და პროგრამის აღწერილობებით, ასევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებებით. პროგრამის კომპონენტების მოცულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, გულისხმობს ლოგიკურ კავშირს შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. დაწესებულება იყენებს სწავლება - სწავლის ისეთ მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ჯიპა ახალისებს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე სწავლება - სწავლის მეთოდების ხელშეწყობის მიზნით გამართულ ღონისძიებებში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის და პროგრამების შესახებ. კატალოგის განახლება ხორციელდება პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად. ის ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე. უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განთავსებულია ქართულენოვანი კატალოგი. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი კატალოგი, ინფორმაცია ცალკეული პროგრამების შესახებ სრულად არის წარმოდგენილი ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტი სტუდენტებს უზრუნველყოფს აკადემიური განვითარების შესაძლებლობებით, როგორც ცოდნის გაღრმავების, ისე სერვისების მიწოდების თვალსაზრისით. სტუდენტთა მხარდაჭერის და კარიერული განვითარების ცენტრი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სტაჟირებებში და მათი დასაქმების შესაძლებლობების გაზრდას. კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად განსხვავდება სკოლების და პროგრამების მიხედვით და მერყეობს 65 - დან 77 % - მდე. სტუდენტებს ასევე ეძლევათ შესაძლებლობა შეიმუშავონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და განსხვავებული აკადემიური შესაძლებლობების შესაბამისად. "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, აკადემიური / მოწვეული პერსონალის, შესაბამისი სტუდენტის, ინკლუზიურობის კოორდინატორის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი პერსონალის ან მოწვეული ექსპერტების აქტიური ჩართულობით. მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები • ჯიპას საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო • პროგრამასთან დაკავშირებით სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვების ანალიზი • სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები • თვითშეფასების ანგარიში • დაწესებულების ვებ-გვერდი: https://gipa.ge/eng • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): გრძელვადიანი საკვალიფიკაციო პროგრამები, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ჯიპაში ჩამოყალიბებულია სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე სისტემა: 100 - ქულიანი კალა, რომელიც მოიცავს შეფასების ორ ფორმას: შუალედურ და დასკვნით შეფასებას. შეფასება იზომება შეფასების კრიტერიუმების მეშვეობით და განსაზღვრავს სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს საბოლოო ქულაში მინიჭებული აქვს კონკრეტული წილი. კურსის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების ჯამს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა მოიცავს შეფასების ფორმატს და მეთოდებს. შეფასების სისტემა იძლევა სტუდენტების მიღწევების გამოვლენის შესაძლებლობას. ექსპერტთა ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი სილაბუსების თანახმად, შეფასების სისტემის რეგულაციები აღწერილია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ". გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხორციელდება ჰოლისტურად, პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. დაწესებულება აგროვებს და აანალიზებს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და ადარებს მათ წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებს. შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტთა თვითშეფასებას, ფოკუს ჯგუფებს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთა გამოკითხვებს. პროგრამებში აქტიურად გამოიყენება სასწავლო გეგმის და პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის პრაქტიკა. ავტორიზაციის ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა, რომ დაწესებულება იყენებს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების გამჭვირვალე კრიტერიუმებს. სტუდენტები იცნობენ შეფასების სისტემას, ისინი ასევე ფლობენ ინფორმაციას აპელაციის სისტემის შესახებ. ძირითადად, სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ელემენტები წარმოდგენილია სილაბუსებში. როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებების დროს დადსტურდა, სტუდენტები იცნობენ პროგრამის შეფასების სისტემას, იღებენ შესაბამის კონსულტაციებს მიღწეული მიზნების და ამოცანების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელმძღვანელობით. მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; • ჯიპა - ს სასწავლო პროცესის მართვის წესი; • ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; • სტუდენტების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვების პროგრამული ანალიზი; • სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები; • სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ს პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო

და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა (GIPA) შეიმუშავა ღია და გამჭვირვალე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დამტკიცებული აკადემიური საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №18/02 გადაწყვეტილებით). ეს პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის პერსონალის შერჩევის პროცესებს (ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება, კადრების შერჩევა და ნიჭიერი კადრების მოზიდვა), აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე/მოწვეული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კონკურსის ჩატარების პირობებს, პროფესიული განვითარების მექანიზმებს, წახალისების ფორმებს, პერსონალის შეფასების სისტემებს, სახელფასო პოლიტიკას, ატესტაციის პროცედურებს და სხვა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სფეროებში დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და ნათლად არ მოიცავს პერსონალის მხარდაჭერის სრულყოფილ მექანიზმებს.

უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა "ახალი თანამშრომლის გზამკვლევი", რომელიც ახლადდასაქმებულ პერსონალს აწვდის დეტალურ ინფორმაციას და ამარტივებს სამუშაოზე ადაპტაციის პროცესს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის აფილირების პოლიტიკა (დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 4 აპრილის N01-24/112 ბრძანებით), რომელიც განმარტავს აფილირების შინაარსს, მიზნებსა და ვალდებულებებს. თუმცა, იგი შეზღუდულ ინფორმაციას იძლევა იმ სარგებელზე, რასაც აფილირება სთავაზობს პერსონალს. უნივერსიტეტთან აფილირების შეთანხმების გაფორმება ნებაყოფლობითია და მხარეთა თავისუფალ ნებას ეფუძნება.

ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ ჯიპა აქტიურად იყენებს პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს, რომლის მაგალითებიც უზიარებენ პერსონალს სხვადასხვა შეხვედრის დროს. გარდა ამისა, ამის საილუსტრაციოდ, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის შეფასების ანგარიში, რომელშიც ცალ-ცალკე არის გამოყოფილი კმაყოფილების შედეგები სხვადასხვა პოზიციებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ორგანიზაციული გარემოთი კმაყოფილების კვლევის ანგარიში, რომელიც აფასებს თანამშრომელთა დამოკიდებულებას ორგანიზაციის მიმართ, სადაც შედეგები ძირითადად დადებითია. მნიშვნელოვანია, რომ კვლევის მეთოდები, მოცულობა და შედეგები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არის წარმოდგენილი პერსონალის განაწილება საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე სტატუსისა და კატეგორიების მიხედვით. ჯიპა-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საშუალო ასაკი არის 43 წელი, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მცდელობას, საგანმანათლებლო პროცესში ჩართოს ახალგაზრდა მკვლევრები და პროფესორები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ამჟამად არ არიან დასაქმებული პოსტდოქტორანტები. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საშუალო ასაკი არის 46 წელი. ჯიპა-ს დეკლარირებული პრიორიტეტია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის შენარჩუნება; თუმცა, საანგარიშო პერიოდში შენარჩუნების მაჩვენებელი იყო 65%, რაც არ არის განსაკუთრებით მაღალი. მიჩნეულია, რომ უნივერსიტეტს აქვს პოტენციალი და რესურსები ამ მიმართულებით უფრო მაღალი შენარჩუნების მაჩვენებლის მისაღწევად. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ როგორც კვლევის შედეგები, ასევე ინტერვიუები მიუთითებს კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების დამატებითი მექანიზმების საჭიროებაზე, რისთვისაც მიზანშეწონილი იქნებოდა

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის გადახედვა და ამ მიმართულებით დამატებითი მექანიზმებისა და აქტივობების დანერგვა. პერსონალის პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, როგორც აკადემიური და მოწვეული, ასევე ადმინისტრაციული პერსონალისთვის, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სწავლების გაუმჯობესების ცენტრი (TEC), რომელიც წარმოადგენს ჯიპა-ს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულს. ცენტრი ატარებს მოკლევადიან ტრენინგებსა და აქტივობებს, რომლებიც მორგებულია პერსონალის საჭიროებებზე სხვადასხვა სფეროში. 2018 წლიდან ჩატარებულია 18 სხვადასხვა ტიპის ღონისძიება. მნიშვნელოვანია დაწესებულებამ გააგრძელოს პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და კიდევ უფრო გააძლიეროს მხარდაჭერა საჭირო აქტივობების უზრუნველყოფით. აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სწავლებას, აკადემიურ ხელმძღვანელობას, კვლევებსა და საკონსულტაციო საქმიანობაში ჩართულობას და აკადემიურ აქტივობებში მონაწილეობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პერსონალი არის მაღალკვალიფიციური და გამოირჩევა კოლეგიალობის მაღალი გრძნობით. შესაბამისად, პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებით დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. უნივერსიტეტს თვითშეფასების ფორმებში განსაზღვრული აქვს პერსონალის სამიზნე ნიშნულები. თუმცა, ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ამ ნიშნულების განსაზღვრის შინაარსობრივი ინდიკატორები, ასევე კონკრეტულ დროში (მათ შორის ფინანსური თვალსაზრისით) მათი მიღწევის სხვადასხვა პერსპექტივა სრულყოფილად დასაბუთებული არ იყო. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამომავლო მიზნები, რომ უნივერსიტეტი მოემსახუროს 4500 სტუდენტს, ძალიან ამბიციურია. შედეგად, აკადემიური, კვლევითი და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობას უნდა შეესაბამებოდეს.	მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. თვითშეფასების ანგარიში 2. ჯიპა -ს დებულება 3. ჯიპა-ში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი 4. ჯიპა-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის სახელმძღვანელო 5. სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები 6. ახალი თანამშრომლების გზამკვლევი 7. პერსონალის პირადი საქმეები; 8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა; 9. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა 10. კვლევის ანგარიშები (ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის შეფასება; ორგანიზაციული გარემოთი კმაყოფილება) 11. ინტერვიუები.
რეკომენდაციები:	რჩევები: • უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ პერსონალის დაგეგმვის ობიექტური და მიზნობრივი ინდიკატორები, ყველა შესაბამისი პერსპექტივის გათვალისწინებით • სასურველია აკადემიური პერსონალის დენადობის მიზეზების შემდგომი კვლევა და შენარჩუნების მექანიზმების გაძლიერება: ჩაატარეთ დამატებითი კვლევა აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლების შესახებ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები შენარჩუნების გასაუმჯობესებლად ○ სასურველია გააფართოვოთ ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები: სასურველია, გლობალური ჩართულობის და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გაფართოვდეს პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები. ○ გაძლიერდეს პროფესიული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა: გააძლიერეთ მხარდაჭერა პროფესიული განვითარების ფართო სპექტრის აქტივობებისთვის.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ - ის აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ - ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო - კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ჯიპა-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 503-ს, მათ შორის 179 აკადემიური პერსონალი (76% აფილირებული), 103 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი და 221 მოწვეული პერსონალი. მოწვეული პერსონალის რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება აკადემიური პერსონალის რაოდენობას, რამაც შესაძლოა მომავალში გამოწვევები შექმნას მდგრადი აკადემიური პროცესის შენარჩუნების თვალსაზრისით.

ჯიპა იყენებს "საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელოს." ამ მეთოდოლოგიის თანახმად, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის ერთ აკადემიურ პერსონალზე არ უნდა მოდიოდეს სამზე მეტი მოწვეული პერსონალი, ხოლო სადოქტორო პროგრამებისთვის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს ორ მოწვეულ პერსონალს ერთ აკადემიურზე. თუმცა, დაგეგმვის ეს მეთოდი ბუნდოვანი ჩანს და არ ითვალისწინებს საკმარისად ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ან კურსების სპეციფიკურ საჭიროებებს და მახასიათებლებს. ამასთან, მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის მინიმუმ 70% იყოს უნივერსიტეტთან აფილირებული. გაურკვეველია, რა კონკრეტულ მიზანს ემსახურება ეს ზღვარი ან რატომ შეირჩა 70%-იანი მაჩვენებელი. აკადემიური პერსონალის განსაზღვრის მეთოდოლოგია (როგორც დოკუმენტშია აღწერილი) არ ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან მაჩვენებლებს, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, სტუდენტების რაოდენობა, პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებლები და სხვა რელევანტური ფაქტორები.

სასწავლო, კვლევითი და საკონსულტაციო დატვირთვის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაყოფილია "A", "B", "C" და "D" ჯგუფებად. თითოეულ კატეგორიას მინიჭებული აქვს განსხვავებული დატვირთვის სტრუქტურა, რაც ზოგადად მისაღებია. კრიტიკული საკითხია მინიმალური მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისთვის ეფექტური უკუკავშირის სისტემის არარსებობა. მაგალითად, კონკრეტული თანამშრომლის მიერ კვლევითი ვალდებულებების შესრულება თუ შეუსრულებლობა მცირე გავლენას ახდენს მის მიმდინარე თუ სამომავლო პასუხისმგებლობებზე. დატვირთვის განაწილება ოთხ კატეგორიაში ("A", "B", "C" და "D") განსხვავებულია და ნათლად არის გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიასა და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სახელმძღვანელოში (დანართი N1: აკადემიური პერსონალის კვირეული დატვირთვის განაწილება). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო დატვირთვის კომპონენტი გარკვეულწილად ბუნდოვანი რჩება. მაგალითად, ასოცირებული პროფესორის ("A") სამუშაოს აღწერილობა მოიცავს მოთხოვნას, გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია (იმპაქტ-ფაქტორის მქონე რეცენზირებად ჟურნალში ან წიგნის თავის ან მონოგრაფიის სახით) ორი წლის განმავლობაში; მონაწილეობა მიიღოს კვლევით ან შემოქმედებით პროექტში, სამეცნიერო კონფერენციაში ან ფესტივალში, ან სხვა შემოქმედებით საქმიანობაში; მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების პროექტში; ან მოამზადოს სახელმძღვანელო. გაურკვეველია, ეს აქტივობები ალტერნატიული ვარიანტებია თუ ყველა კომპონენტი სავალდებულოა. როგორც შეხვედრებზე განიმარტა, ამ დავალებებიდან მხოლოდ ერთის შესრულება საკმარისია მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად ამისა, აქტივობები ხარისხობრივად განსხვავდება და მათთვის ერთნაირი სტატუსის მინიჭება არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ მკაფიოდ

განსაზღვროს პერსონალის სავალდებულო მოთხოვნები და მოახდინოს მათი პრიორიტეტიზაცია საკუთარი საჭიროებებისა და მიზნების შესაბამისად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კატეგორიაში ვალდებულებები მნიშვნელოვნად მსგავსია.

როგორც ინტერვიუებში დადასტურდა, კვლევითი დატვირთვის მოთხოვნების შეუსრულებლობა მხოლოდ საინფორმაციო ხასიათით აღირიცხება, რაიმე დამატებითი მექანიზმების გამოყენების გარეშე. ანგარიშვალდებულების ეს ნაკლებობა, სავარაუდოდ, უარყოფით გრძელვადიან გავლენას მოახდენს უნივერსიტეტის შედეგებზე და აკნინებს დატვირთვის კომპონენტის მნიშვნელობას. ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დანერგოს აკადემიური პერსონალის დატვირთვისა და ვალდებულებების მდგრადი, ეფექტური სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. თვითშეფასების ანგარიში
2. ჯიპა -ს დებულება
3. ჯიპა-ში აკადემიური პერსონალის აფილირების წესი

4. ჯიპა-ში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია და აკადემიური პერსონალის დატვირთვის განსაზღვრის სახელმძღვანელო
5. სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
6. ახალი თანამშრომლების გზამკვლევი
7. პერსონალის პირადი საქმეები;
8. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
9. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პოლიტიკა
10. კვლევის ანგარიშები (ადმინისტრაციული ერთეულების საქმიანობის შეფასება; ორგანიზაციული გარემოთი კმაყოფილება)
11. გასაუბრებები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დატვირთვის შესრულების შეფასებისა და შესაბამისი რეაგირების ეფექტური მექანიზმები;
- სწავლა-სწავლების პროცესების მდგრადობის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების გავლენის გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია აკადემიური/აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.

რჩევები:

- სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა უკეთ უპასუხოს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სპეციფიკურ საჭიროებებსა და მახასიათებლებს.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების, ავტორიზაციის ვიზიტის შედეგებზე ინფორმაციის და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების შედეგად, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები.

ჯიპა-ს შემუშავებული აქვს დეტალური შიდა სამართლებრივი რეგულაციები დაწესებულების თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისთვის. ეს რეგულაციები მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორიცაა სტუდენტთა შეფასება, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, სტუდენტთა მობილობა, სერტიფიცირება და საგანმანათლებლო კრედიტების მინიჭება. გარდა ამისა, ჯიპა ვალდებულია იღებს დაიცვას სტუდენტთა უფლებები და კანონიერი ინტერესები, უზრუნველყოს მათი აკადემიური საქმიანობის პერიოდში მიღებული განათლების სათანადო აღიარება.

ჯიპა ორიენტირებულია სასწავლო პროცესში ინოვაციური მეთოდების დანერგვაზე. აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს გააჩნია მაღალი კვალიფიკაცია, რაც უზრუნველყოფს სწავლის მოსალოდნელი შედეგების მიღწევას და სამართლებრივი მოთხოვნების დაცვას. ისინი ფართოდ არიან აღიარებულნი როგორც ეროვნულ აკადემიურ, ისე პროფესიულ წრეებში და ფლობენ მნიშვნელოვან პრაქტიკულ და პროფესიულ გამოცდილებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დაწესებულებაში მაღალი ხარისხის განათლების განხორციელებას. ჯიპა-ს შემუშავებული აქვს "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები" საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, ასევე დაწესებულებათაშორის მობილობისა და აკადემიური კრედიტების მინიჭების წესებს.

ჯიპა-ს ჩამოყალიბებული აქვს სტუდენტზე ორიენტირებული გარემო და ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრი სტუდენტთა უფლებების დასაცავად. ცენტრი ორგანიზებას უწევს საორიენტაციო შეხვედრებს პირველკურსელებისთვის და უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას სასწავლო პროცესის შესახებ. ამასთან, ჯიპა-მ განავითარა თავისი ციფრული პლატფორმა, პორტალი, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა აკადემიურ ინფორმაციაზე, ოფიციალურ დოკუმენტებსა და ელექტრონული ბიბლიოთეკის მასალებზე. ასევე უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების თანაბარ წვდომას განათლებაზე. დაწესებულებას აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო პრინციპები და ჰყავს ინკლუზიის კოორდინატორი სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად. სტუდენტებს აქვთ შეფასებების გასაჩივრებისა და ანონიმური უკუკავშირის მიწოდების უფლება. უნივერსიტეტი ასევე სთავაზობს კურსებზე რეგისტრაციის მოქნილ პოლიტიკას სტუდენტთა ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. მთლიანობაში, დაწესებულება პრიორიტეტად მიიჩნევს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

ჯიპა-ს დანერგილი აქვს შიდა სამართლებრივი აქტები სტუდენტთა მრავალფეროვანი საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად, რომელიც მიმართულია საგანმანათლებლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და აკადემიური მოსწრების ამაღლებაზე. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას სრულყოფილ ინფორმაციაზე, რაც ხელს უწყობს გამჭვირვალობას და საგანმანათლებლო პროცესების სრულფასოვან აღქმას.

დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უცხოელი სტუდენტების კეთილდღეობაზე ჩარიცხვის

პროცესის მთელი პერიოდის განმავლობაში. მათ დადგენილი აქვთ კონკრეტული მოთხოვნები უცხო ენის ცოდნის დონის მიმართ, რათა უზრუნველყონ სტუდენტების მიერ საჭირო ენობრივი უნარების ფლობა. ეს სისტემა არა მხოლოდ ამოწმებს ენის ცოდნას, არამედ უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტებისთვის მორგებული ენობრივი მხარდაჭერის სერვისების ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, დაწესებულებაში მუშავდება სპეციალურ პოლიტიკა და დაწესებულება სისტემატურად სწავლობს უცხოელი სტუდენტების წინაშე არსებულ ენობრივ გამოწვევებს, რის საფუძველზეც ახორციელებს მიზნობრივ ღონისძიებებს მათი ენობრივი კომპეტენციების განვითარების ხელშესაწყობად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თვითშეფასების ანგარიში შესაბამისი თანდართული დოკუმენტებით და ავტორიზაციის ვიზიტის შედეგები • ინტერვიუები, • უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას. ○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ჯიპა-ს თვითშეფასების ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების, ავტორიზაციის ვიზიტის შედეგების და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე, გამოვლინდა შემდეგი გარემოებები: ჯიპა-ში ფუნქციონირებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებების ფართო სპექტრი, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებასა და აკადემიური მოსწრების ამაღლებას. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების სრულყოფილ ინფორმირებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესის სიგზადესა და გააზრებას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურები ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგებია. ამასთან, ჯიპ სთავაზობს კარიერული მხარდაჭერის სერვისებს, რომელიც სტუდენტებს უწყევს დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით კონსულტირებას და ხელს უწყობს მათი კარიერული განვითარების პროცესს. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს. გარდა ამისა, ჯიპა-ს დანერგილი აქვს მექანიზმები, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის

მქონე სტუდენტების დასახმარებლად.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები სარგებლობენ ხშირი და ნაყოფიერი ურთიერთობით პროგრამის აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. სტუდენტებს მუდმივად აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ არაფორმალურ დისკუსიებში აკადემიურ პერსონალთან სასწავლო საათების განმავლობაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის შესაძლო კარიერული გზებისა და დასაქმების პერსპექტივების შესახებ.

ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების მხარდასაჭერად. ეს რესურსი სტუდენტებს სთავაზობს სრულყოფილ ინფორმაციას საგანმანათლებლო პროცედურების შესახებ, მათ შორის სასწავლო პროცესის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების სტრატეგიებისა და კარიერული წინსვლის შესახებ.

დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების შესახებ, მხარს უჭერს მათ ამ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად და ნერგავს სხვადასხვა მეთოდებს წარმატებული სტუდენტების წასახალისებლად. ჯიპა სთავაზობს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებების ფართო სპექტრს, რომელიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესებასა და აკადემიური მოსწრების ამაღლებას. ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების სრულყოფილ ინფორმირებას, რაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროცესის სიცხადესა და გააზრებას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი პროცედურები ადვილად ხელმისაწვდომი და გასაგებია.

ამასთან, ჯიპა-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისები, რომელიც სტუდენტებს უწყევს დასაქმების შესაძლებლობების მიმართულებით კონსულტირებას და ხელს უწყობს მათი კარიერული განვითარების პროცესს. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.

გარდა ამისა, ჯიპა-ს დანერგილი აქვს მექანიზმები, მათ შორის ფინანსური მხარდაჭერა, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების დასახმარებლად. დაწესებულებას ასევე ჰყავს რამდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტი/ინსტიტუცია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროგრამებში, აქტივობებსა და სტაჟირებებში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ძლიერი, რეალისტური და პროაქტიული კარიერული განვითარებისა და საერთაშორისო პარტნიორობის პოლიტიკა პროგრამების სამომავლო განვითარებისთვის.

ჯიპა უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების სტიპენდიების შესახებ და მხარს უჭერს მათ ამ სტიპენდიებზე განაცხადების გაკეთებაში. მასთან, დაწესებულებას აქვს წარმატებული სტუდენტების წახალისების პრაქტიკა მათი სწავლის საფასურის დაფინანსების ან თანადაფინანსების გზით. ჯიპა-ს აქვს მობილობის ძლიერი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას ადგილობრივ და საერთაშორისო მობილობის აქტივობებში,

ასევე სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში, მათ შორის არასასწავლო პროგრამის ფარგლებში აქტივობებში საქართველოსა და საზღვარგარეთ (მაგალითად, ერაზმუს+ პროგრამა).

ჯიპა სთავაზობს მძლავრ მხარდაჭერას სტუდენტების კარიერული წინსვლისთვის, რასაც ადასტურებს როგორც მოქმედი სტუდენტების, ისე კურსდამთავრებულების დასაქმების წარმატებული მაჩვენებლები. 107 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში და აქტიურად ჩაერთო ჯიპა-ს საგანმანათლებლო პროცესში. რაც შეეხება ჯიპა-ს სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლას, საანგარიშო პერიოდში (2018-2024) 342-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, რაც ხაზს უსვამს დაწესებულების წარმატებას საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობის კუთხით. ჯიპა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობისა და წარმატების გაზრდაში. ამ მიზნის მისაღწევად ჯიპა ნერგავს როგორც ფინანსურ, ისე არაფინანსურ მექანიზმებს. დაწესებულება სთავაზობს სტუდენტებს საჭიროებაზე დაფუძნებულ გრანტებსა და სტიპენდიებს, რომლებიც ფინანსდება როგორც საკუთარი ინსტიტუციური რესურსებით, ასევე სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ფარგლებში. ჯიპა ასევე უზრუნველყოფს სწავლის საფასურის ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც ფინანსური საჭიროება აქვთ, რითაც უმაღლესი განათლება უფრო ხელმისაწვდომი ხდება; ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას არასასწავლო აქტივობებში, მათ შორის კინოფესტივალებში, თეატრში, სპორტსა და ცეკვაში. უნივერსიტეტი ასევე მასპინძლობს სხვადასხვა კლუბებს, სადისკუსიო პლატფორმას სახელწოდებით "ფრონტლაინ ჯორჯია" და სტუდენტურ რადიოს "რადიო ჯიპა".
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის თვითშეფასების ანგარიში თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, ავტორიზაციის ვიზიტის შედეგები. • გასაუბრებები • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, სადისკუსიო პლატფორმა სახელწოდებით "ფრონტლაინ ჯორჯია" და სტუდენტების მიერ მართული რადიო "რადიო ჯიპა", იმისათვის, რომ განვითარდეს სასწავლო გეგმის გარე აქტივობები, რომლებიც მორგებულია სტუდენტების ინტერესებზე და აუმჯობესებს მათ პროფესიულ უნარებს.
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების

ხელშეწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას

6.1 კვლევითი საქმიანობა ○ უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
--

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჯიპა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაზე. ეს აქცენტი აისახება უნივერსიტეტის მხარდ ფინანსურ ვალდებულებაში, რაც გამოიხატება კვლევებისთვის გამოყოფილი დაფინანსების ყოველწლიურ ზრდაში. კვლევითი დეპარტამენტის ბიუჯეტი 2023-2024 წლებში 77%-ით გაიზარდა 2018-2019 წლებთან შედარებით. უნივერსიტეტი

უზრუნველყოფს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და განვითარების ინიციატივების მჭიდრო ურთიერთკავშირს, რაც განაპირობებს დაწესებულების სისტემურ და ყოვლისმომცველ განვითარებას. უნივერსიტეტს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული კვლევითი სტრატეგია და პრიორიტეტები, რომლებიც შესაბამისობაშია მის მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ეს პრიორიტეტები გულდასმითაა ინტეგრირებული დაწესებულების ფართო მიზნებში თანმიმდევრული განვითარების უზრუნველსაყოფად. ამასთან, უნივერსიტეტს გამოყოფილი აქვს საკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსები კვლევითი ინიციატივების მხარდასაჭერად, რაც უზრუნველყოფს მდგრად განვითარებასა და ინოვაციებს ძირითად მიმართულებებში.

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ჯიპა-ს აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევები ინტეგრირებულია სწავლების პროცესში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივი ცვლილებების შესწავლაში, რაც შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ფართო მისიასთან. აკადემიური პერსონალი ასევე მონაწილეობს დონორი ორგანიზაციების მიერ მხარდაჭერილ კვლევით პროექტებში, თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან სხვადასხვა სექტორიდან. დაწესებულება ძირითადად ახორციელებს გამოყენებით კვლევებს, ასევე შემოქმედებით პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს სხვადასხვა - სამეცნიერო, სოციალური და კულტურული - სექტორის განვითარებას რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

თვითშეფასების ანგარიშისა და წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, მოცემულ საანგარიშო პერიოდში ჯიპა-ს აკადემიურმა პერსონალმა მიაღწია მნიშვნელოვან კვლევით პროდუქტიულობას, მათ შორის 89 პუბლიკაცია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, 232 პუბლიკაცია ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში და მონაწილეობა 182 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში. დამატებითი დოკუმენტაციის თანახმად, 2018-2024 წლებში ჯიპა-მ კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობისთვის მოიპოვა 29 ჯილდო, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს საერთაშორისო ფესტივალებსა და კონკურსებზე მიღებულ აღიარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტმა უმასპინძლა შვიდ საერთაშორისო საზაფხულო/ზამთრის სკოლას, ორგანიზება გაუწია ხუთ სამეცნიერო კონფერენციას/სემინარს და მხარი დაუჭირა დაახლოებით 30 აკადემიური პერსონალს კონფერენციებში მონაწილეობისა და კვლევების გამოქვეყნების კუთხით. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ ჯიპა-ს აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული სამეცნიერო პროექტებში - 46 პერსონალის წევრი მონაწილეობს უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილ 32 კვლევით გრანტში, ხოლო 28 მათგანი ჩართულია საერთაშორისო ან დონორების მიერ დაფინანსებულ კვლევით პროექტებში.

